საიდ. N81754/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №27-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, გ. ფანცულაიას მდივნობით, განიხილა კომპანიის „ჰაიათ ქიმია სანაი ა.შ.“ (Hayat Kimya Sanayi A.Ş.) N27-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის N2120/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „mollis 24 JUMBO ROLLS TOILET ROLLS 90 METERS NEW organic“ (საიდ. N81754/03) რეგისტრაციის თაობაზე შპს „დაფნას“ სახელზე მე-16 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, შესაგებელი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანია „ჰაიათ ქიმია სანაი ა.შ.“ (Hayat Kimya Sanayi A.Ş.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი აღრევამდე მსგავსია მისი კუთვნილი, ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „MOLFIX“ (რეგ. N 14416). განცხადებული სასაქონლო ნიშანი „mollis 24 JUMBO ROLLS TOILET ROLLS 90 METERS NEW organic“ (საიდ. N81754/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „MOLFIX“ ფანტაზიური ნიშნებია, რომლებსაც არ აქვთ შინაარსი, შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია სემანტიკური თვალსაზრისით. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი კომბინირებულია, მასში დომინანტი ელემენტი არის სიტყვიერი ნაწილი „mollis“, რომელიც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მსგავსად არის შესრულებული, ლათინური ასოებით. ორივე ნიშანში გამოყენებულია სტანდარტული შრიფტი. ყველა ასო განლაგებულია ჰორიზონტალურად, პირველი სამი იდენტური ასოს თანწყობა ერთნაირია. განცხადებული ნიშანი „mollis“ შესრულებულია ლათინური ანბანის პატარა ასოებით, ხოლო „MOLFIX“ ასომთავრული ასოებით. აღნიშნულის მიუხედავად, ნიშნების გამოყენება შესაძლებელია, როგორც პატარა ისე, დიდი ასოებით, მაგალითად როგორც „mollis – molfix“, „MOLLIS-MOLFIX“, რაც ზრდის სიმბოლოების აღრევის შესაძლებლობას მომხმარებლის მხრიდან. აპელანტის მტკიცებით, სიმბოლოების მხედველობითი აღქმისას პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს სიტყვიერი ნაწილის მსგავსი ელემენტები. ფონეტიკური თვალსაზრისით, დაპირისპირებული ნიშნების მსგავსების ხარისხი მაღალია, რადგან დაპირისპირებულ ნიშნებში ასოების რაოდენობა თანაბარია. ნიშნები შედგება 5 ასოსგან, რომელთაგან პირველი სამი ასო იდენტურია

და გამოითქმის იდენტურად, როგორც „მოლ”, ასევე, იდენტურია ნიშნებში არსებული ხმოვნებიც, „O“ (ოუ), „I“ (აი) და მათი მდებარეობაც, რაც კიდევ უფრო ზრდის ნიშნების აღრევის შესაძლებლობას. ამასთან, მსგავსად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვიერი ელემენტების დაბოლოებაც „is“ (ის) და „ix“ (იქს).

აპელანტის განმარტებით, განსახილველი სიმბოლოები წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სიმბოლოებს ფონეტიკური, მხედველობითი და აზრობრივი მნიშვნელობით და დიდია იმის ალბათობა, რომ მომხარებელს არამარტო აერიოს ნიშნები ერთმანეთში არამედ, ასოცირების შედეგად, განცხადებულ სიმბოლოს „mollis“ დაუკავშიროს უფრო ადრეული ნიშანი „molfix“, რომელიც უკვე დიდი ხანია არსებობს საქართველოს ბაზარზე და აღიქვას იგი როგორც კომპანიის „ჰაიათ ქიმია სანაი ა.შ.“ (HAYAT KIMYA SANAYI A.S.) კუთვნილი სასაქონლო ნიშანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის N2120/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის „mollis 24 JUMBO ROLLS TOILET ROLLS 90 METERS NEW organic“ (საიდ. N81754/03) რეგისტრაციის თაობაზე შპს „დაფნას“ სახელზე მე-16 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი შპს „დაფნას” წარმომადგენელი არ ეთანხმება სააპელაციო საჩივარს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაინტერესებული მხარის პოზიციით, აპელანტის კუთვნილი და სადავო სასაქონლო ნიშანი განსხვავებულია, როგორც ვიზუალური ისე ფონეტიკური თვალსაზრისით, ხოლო ვინაიდან ნიშნებს არ გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა მათი ამ კრიტერიუმით შედარება არ უნდა განხორციელდეს. დაინტერესებული მხარის აზრით, სადავო სასაქონლო ნიშანი ფერადია და შეიცავს უამრავ ელემენტს, როგორც სიტყვიერს, ისე გამოსახულებითს. ფონეტიკური განსხვავებას განაპირობებს

სადავო ნიშანში არაერთი სიტყვიერი ელემენტის არსებობა. ამასთან, სადავო სასაქონლო ნიშნიდან ამოღებული ელემენტის „mollis“ ჟღერადობა, განსხვავებულია რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ჟღერადობისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარე ითხოვს არ დაკმაყოფილდეს კომპანიის „ჰაიათ ქიმია სანაი ა.შ.“ (Hayat Kimya Sanayi A.Ş.) N27-03/16 სააპელაციო საჩივარი და ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის N2120/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის წარმომადგენელის პოზიცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „mollis 24 JUMBO ROLLS TOILET ROLLS 90 METERS NEW organic“ (საიდ. N81754/03) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „MOLFIX“ (რეგ. N 14416) არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალური, ისე ფონტეკური თვალსაზრისით.

სადავო კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „mollis 24 JUMBO ROLLS TOILET ROLLS 90 METERS NEW organic“ შესრულებულია სტილიზებულად. ნიშანში დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ

სიტყვიერი აღნიშვნა - „mollis“. აღნიშნული სიტყვიერი ელემენტი შესრულებულია ექვსი პატარა ლათინური ასოსგან. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „MOLFIX“ წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს, რომელიც შესრულებულია ექვსი ლათინური ასომთავრული ასოსაგან. მართალია მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საწყისი ნაწილები „mol- MOL“, მაგრამ იმდენად განსხვავებულია მათი დაბოლოება - „lis - FIX“, რომ არ მოხდება ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. გარდა ამისა, სადავო სასაქონლო ნიშანი, შეიცავს სხვადასხვა ფერებში შესრულებულ გამოსახულებით ელემენტებსაც, რაც უფრო ზრდის დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებულ ვიზუალურ განსხვავებას.

სასაქონლო ნიშანი „MOLFIX“ მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „მოლფიქს“, ხოლო სადავო სასაქონლო ნიშანი „mollis“, როგორც - „მოლის“. ამასთან, ორივე სასაქონლო ნიშანი ფანტაზიურია და შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ სემანტიკური მნიშვნელობა. ამდენად, ნიშნების შედარებისას შინაარსობრივი მსგავსების კრიტერიუმი მხედველობაში არ მიიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „mollis 24 JUMBO ROLLS TOILET ROLLS 90 METERS NEW organic“ (საიდ. N81754/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჰაიათ ქიმია სანაი ა.შ.“ (Hayat Kimya Sanayi A.Ş.) N27-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 07 დეკემბრის N2120/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ნ. გოგილიძე
წევრები:	თ. ჯაფარიძე
	უ. ოშხნელი